

ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N14 საცხოვრებელი სახლის
N44 ბინაზე, მოქალაქე ქეთევანი ძნელაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა დავით აღმაშენებლის გამზირი N14 საცხოვრებელი სახლის N44 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ქეთევანი ძნელაძის განცხადება /2014 წლის 26.03 №–2074/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N14 საცხოვრებელი სახლის N44 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N14 საცხოვრებელი სახლის N44 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ქეთევანი ძნელაძეს /პირადი N60001030192/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N14 საცხოვრებელი სახლის N44 ბინაზე, საერთო ფართობი 45,51 კვ.მ, /საცხოვრებელი ფართობი 30,50 კვ.მ, დამხმარე ფართობი 12,05 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 2,96 კვ.მ./ მოქალაქე ქეთევანი ძნელაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

ნ.მიქიაშვილი